ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2647974

ნომერი: AR1409977

თარიღი : 02.06.2016

გაცემის თარიღი : 14.06.2016

გაცნობის თარიღი : 14.06.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი V , კორპუსი 17 , მიმდებარედ (ნაკვ.16/14) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარია ბიტკო პ/ნ 01017034043
- თბილისი ლ.ასათიანის ქ. N 38

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:
–საჭიროა წარმოადგინოთ არსებული სიტუაციის კარგი ხარისხით გადაღებული ფოტოსურათები და მათ საფუძველზე დამუშვებული უკეთესი ხარისხის, რეალობასთან მიახლოვებული ფოტომონტაჟები (გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით) ისე, რომ სარეკლამო კონსტრუქცია იყოს კარგად აღქმადი.
–საჭიროა წარმოადგინოთ შპს „დიღმის ველი“–სა და სს „სარაჯიშვილი“–ს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება. გაითვალისწინეთ: საჯარო რეესტრის შესახებ მე-11 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც იჯარის ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარე არის კერძოს სამართლის ურიდიული პირი და ხელშეკრულება დადებულია 1 წელზე მეტი ვადით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.
–ასევე გაურკვეველია თქვენი უფლებამოსილების საკითხი. წარმოსადგენია თქვენი, როგორც განმცხადებლის უფლებამოსულების დამადასტურებელი დოკუმენტი.
გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.